იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების 2024 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

2025 წ.

ქ. თბილისი

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების 2024 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

სამართალშემოქმედება

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი (შემდეგში - მინისტრის აპარატი), როგორც სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი დაწესებულება, აქტიურად არის ჩართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

მინისტრის აპარატი სამართალშემოქმედების მიმართულებით, ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს, სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამისობის დადგენას საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობასთან. საანგარიშო პერიოდში ნორმატიული აქტის პროექტის შესწავლისა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შესწავლილ იქნა და შესაბამისი შეთანხმების წერილი მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან წარმოდგენილ ნორმატიული აქტის 15 (თხუთმეტი) პროექტზე, ხოლო სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი დასკვნა გაიცა ნორმატიული აქტის 5 (ხუთი) პროექტზე; უზრუნველყოფილ იქნა გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოფხვრის მიზნით გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შემოწმება. სსიპ – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 42 (ორმოცდაორი) დადგენილება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის 6 (ექვსი) ბრძანება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების სხვა უპირატესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის, აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების შემსუბუქებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის როლის გაძლიერების აუცილებლობის მიზნით, შემუშავდა 20 (ოცი) პროექტი:
„იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი;
„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;
„იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობის შემოღების, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 ნოემბრის №56 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი;

„იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტი;
„სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატისათვის დელეგრებული უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ხელშეკრულების პროექტი;
მინისტრის აპარატის საქმიანობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის 284 (ორას ოთხმოცდაოთხი) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო

ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, ხორციელდება შემდეგი საქმიანობა:
აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამოვლენილი ადამიანის უფლებათა პრობლემატური საკითხების შესწავლა და ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაცია;
აფხაზეთის მკვიდრთა (მათ შორის, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების) უფლებათა დარღვევის პრევენციის მიზნით, წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ღონისძიებების, პროგრამების დაგეგმვა;
ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო დამცველის ანგარიშებზე, სოციალურ ქსელებსა და უცხოენოვანი მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და შესაბამისი საპასუხო წერილების მომზადება;
აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისთვის სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციების გაწევა შემდეგ საკითხებზე (ფრჩხილებში მითითებულია კონსულტაციის რაოდენობა):
ა)დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების და განქორწინების შესახებ დოკუმენტების მოძიება/აღდგენა (35);
ბ) დევნილის სტატუსის აღდგენა (85);
გ) საქართველოს მოქალაქეობის მიღება (166);
დ) დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ (90);
ე) ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღება (129);
ვ) ამხანაგობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, წევრთა საკუთრების, აგრეთვე მათი წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითადი სამართლებრივი პირობები, საერთო სარგებლობის ფართის დაკანონებასთან დაკავშირებით და სხვა (30);
ზ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის მინიჭების, პენსიის დანიშვნისა და სხვა შეღავათების შესახებ (37);
თ) სხვა სამართლებრივ საკითხებზე.
ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების მედია მონიტორინგის შედეგად მოძიებულ და მომზადებულ იქნა ინფორმაცია ოკუპირებული აფხაზეთის

ტერიტორიაზე, 2024 წლის მდგომარეობით, არსებული ვითარების შესახებ, შემდეგ საკითხებზე:
რელიგიისა და რწმენის თავისუფლება;
ქართულ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა;
თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა;
უკანონო დაკავებები, დისკრიმინაცია;
კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ;
უძრავი ქონების უკანონო ყიდვა-გაყიდვის პროცესის აღწერა:
ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევა.
დამუშავებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც შიდა მოხმარებისთვის, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნის შესაბამისად, ეგზავნება დაინტერესებულ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისთვის პირადობის ნეიტრალური მოწმობის გაცემისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის, პირადი ნომრის მინიჭების, ფოტოიდენტურობის დადასტურებასა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის საკითხებში, მონაწილეობას იღებს მინისტრის აპარატში შექმნილი შესაბამისი კომისია. აღნიშნული მიმართულებით 2024 წლის განმავლობაში ჯამში განხილულ იქნა 80 (ოთხმოცი) განაცხადი (დადებითი - 66, უარყოფითი - 14).
მინისტრის აპარატის ინიციატივით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, უცხოეთში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების გასამარტივებლად, მიმდინარეობს მუშაობა უნივერსიტეტის ბაზაზე სასწავლო პროგრამის შესაქმნელად, რომელიც გაუმარტივებს აფხაზეთის მკვიდრებს ტესტირების წარმატებით გავლის პროცესს, სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენაში.

სამშვიდობო პოლიტიკა და სამოქალაქო ინტეგრაცია

მინისტრის აპარატის მიერ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა პროექტები და ღონისძიებები შემდეგი პროგრამის და ქვეპროგრამების ფარგლებში:

<u>პროგრამა</u>
სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება (პროგრამული კოდი 19 02)
თანხა გეგმიური - 470 000 ლარი, თანხა ფაქტიური - 401 017.69 ლარი, შესრულების % - 85.323%

<u>ქვეპროგრამები:</u>
ქვეპროგრამა ,,სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი -19 02 01)
თანხა გეგმიური - 110 000 ლარი, თანხა ფაქტიური - 99 961 ლარი, შესრულების % - 90,87%.

ქვეპროგრამა ,,მშვიდობის ლაბორატორია“ (პროგრამული კოდი 19 02 03)
თანხა გეგმიური - 135 500 ლარი, თანხა ფაქტიური - 97 203.53 ლარი, შესრულების % - 71.737%.

ქვეპროგრამა ,,სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი -19 02 11)
თანხა გეგმიური - 180 000 ლარი, თანხა ფაქტიური - 163 259.40 ლარი, შესრულების % - 90,70%

ქვეპროგრამა ,,დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი - 19 02 12)
თანხა გეგმიური - 44 500 ლარი; თანხა ფაქტიური - 40 593.76 ლარი, შესრულების % - 91.222%

ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების და ღონისძიებების მოკლე აღწერა

ქვეპროგრამა **,,სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“** (პროგრამული კოდი 19 02 01)

„ქართულ-აფხაზური დიალოგი 2024“- პროექტის ფარგლებში მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა ქართველი და აფხაზი ექსპერტების, მეწარმეებისა და კონფლიქტოლოგების ჩართულობით (3 ეთნიკურად ქართველი საქართველოდან და 2 ეთნიკურად აფხაზი აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან). შეხვედრაზე განხილეს აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებაზე, დიალოგის ხელშეწყობასა და შერიგებაზე, ქართულ-აფხაზური საზოგადოების გაერთიანებაზე

ორიენტირებული ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული, კვლევითი, სამართლებრივი დახმარების და სხვა პროექტების განხორციელების პერსპექტივები. შეხვედრა ასევე შეეხო კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის ობიექტური, რეალური ინფორმაციის გაცვლასა და ახლებური ტიპის დიალოგის ხელშეწყობას.
პროექტის მიზანია აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერება და მათ შორის დიალოგის ხელშეწყობა, შერიგებაზე და ქართულ-აფხაზური საზოგადოების გაერთიანებაზე ორიენტირებული ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული, კვლევითი, სამართლებრივი დახმარების და სხვა პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 01 - 03 თებერვალს ქ. სტამბოლში.
გახარჯული თანხა - 10 194 ლარი

ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრა - პროექტის ფარგლებში, 2 ქართველი და 2 აფხაზი ახალგაზრდის (ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან) ჩართულობით გაიმართა დიალოგი ქართველებსა და აფხაზებს შორის ინტეგრაციის ფორმებზე, ახალგაზრდების ჩართულობის განვითარების პერსპექტივებზე, სოციალურ და განათლების საკითხებზე. მონაწილეებმა, ასევე, განიხილეს ერთობლივი, სამომავლო აქტივობები და ღონისძიებები. შეხვედრის დასასრულს შეიმუშავეს ქართულ-აფხაზური ერთობლივი მურალის კონცეფცია, რომელიც ემსახურება ქართულ-აფხაზური საერთო ტრადიციებისა და კავშირების, ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას.
პროექტის მიზანია კონფლიქტით დაშორიშორებულ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის ობიექტური, რეალური ინფორმაციის გაცვლა; ქართულ-აფხაზური დიალოგის ხელშეწყობა და წახალისება; პროექტის მონაწილე ახლაგაზრდებისათვის ქართულ-აფხაზური საერთო ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის გაცნობა და პოპულარიზაცია.
მინისტრის აპარატისა და ახალგაზრდული მოძრაობა „ამრა"-ს ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16-17 მაისს ქ. თბილისში.
გახარჯული თანხა - 3 600 ლარი

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების მხარდაჭერა არაფორმალური განათლების გზით - პროექტის ფარგლებში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 12-15 წლის 10 ახალგაზრდას ჩაუტარდა 2 დღიანი შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობები შემდეგ თემატიკაზე: ბავშვთა უფლებები, ბულინგი, კონფლიქტების მართვა, მშვიდობის მშენებლობა, ტოლერანტობა, ლიდერობა და გუნდურობა, არასრულწლოვანთა დასაქმების გამოწვევები და პერსპექტივები შრომითი კოდექსის მიხედვით, ჯანსაღი ცხოვრების წესი.
პროექტის მიზანია აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერება, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა და სოციალიზაცია, არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, ბენეფიციართათვის შესაძლებლობების გაძლიერება, რომლითაც შეეძლებათ აიმაღლონ კომპეტენცია და გაიუმჯობესონ აქტიური მოქალაქეობისთვის და სამშვიდობო პროცესებში ჩართულობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26-29 აგვისტოს ქ.წყალტუბოში.
გახარჯული თანხა - 9 705 ლარი

ახალგაზრდული სივრცე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდასაჭერად - პროექტის ფარგლებში ორი თვის განმავლობაში ყოველ შაბათ-კვირას ქ. ბორჯომში მცხოვრები 14-17 წლის აფხაზეთიდან დევნილი 50 ახალგაზრდისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო, შემეცნებით და სახალისო ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე: სამშვიდობო პროცესები და მათში ახალგაზრდების ჩართულობის გზები, სახალხო დიპლომატია და მასში ახალგაზრდების როლი, ინოვაციური ტექნოლოგიები და მათი გამოყენება ქართულ-აფხაზური ახლებური დიალოგის მხარდასაჭერად, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ-აფხაზური საერთო ფასეულობების პოპულარიზაცია, მედია წიგნიერება და კრეატიული აზროვნება, სოციალური მედიის როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდასაჭერად, ინოვაციური ტექნოლოგიები დეზინფორმაციის წინააღმდეგ, ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობები, რელიგიური კავშირები და კულტურული ტოლერანტობა. მონაწილეთათვის განხორციელდა ექსკურსია ქ. მცხეთაში. პროექტის ბოლოს ბენეფიციარებს გადაეცათ სერტიფიკატები.

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდა, განვითარების ხელშეწყობა მათი სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით, ბენეფიციარებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენების, საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაციის, პიროვნული ზრდის და სხვა უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება ექნებათ.

პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ოქტომბერი - დეკემბერში, ქ.ბორჯომში.

გახარჯული თანხა - 36 777 ლარი

ახალგაზრდული სივრცე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდასაჭერად - პროექტის ფარგლებში ორი თვის განმავლობაში, ყოველ შაბათ-კვირას ქ. ბათუმში მცხოვრები, 14-17 წლის აფხაზეთიდან დევნილი 50 ახალგაზრდისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო, შემეცნებით და სახალისო ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე: სამშვიდობო პროცესები და მათში ახალგაზრდების ჩართულობის გზები, სახალხო დიპლომატია და მასში ახალგაზრდების როლი, ინოვაციური ტექნოლოგიები და მათი გამოყენება ქართულ-აფხაზური ახლებური დიალოგის მხარდასაჭერად, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ-აფხაზური საერთო ფასეულობების პოპულარიზაცია, მედია წიგნიერება და კრეატიული აზროვნება, სოციალური მედიის როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდასაჭერად, ინოვაციური ტექნოლოგიები დეზინფორმაციის წინააღმდეგ, ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობები, რელიგიური კავშირები და კულტურული ტოლერანტობა. მონაწილეთათვის ერთჯერადად განხორციელდება ექსკურსია იმერეთის რეგიონში. პროექტის ბოლოს ბენეფიციარებს გადაეცათ სერტიფიკატები.

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდა, განვითარების ხელშეწყობა მათი სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით, ბენეფიციარებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენების, საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაციის, პიროვნული ზრდის და სხვა უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება ექნებათ.

პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ნოემბერი - დეკემბერში, ქ. ბათუმში.

გახარჯული თანხა - 39 685 ლარი

ქვეპროგრამა „მშვიდობის ლაბორატორია“ (პროგრამული კოდი 19 02 03)

აღდგენილი ხიდები - პროექტის ფარგლებში შეიქმნა აფხაზეთში 10 ყველაზე პოპულარული მუსიკალური ჰიტის ახლებური, უფრო სრულყოფილი ვერსია, რომელიც პოპულარული ქართველი მომღერლების მიერ შესრულდა აფხაზურ ენაზე, ასევე ჩაიწერა დისკზე (500 დისკი). ზემოთხსენებული სიმღერები შესრულდა 11 ივნისს თბილისში აფხაზეთის კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე. დისკები დაურიგდათ მოწვეულ სტუმრებს, ქართულ - აფხაზური საზოგადოების წევრებს.
პროექტის მიზანია ქართულ-აფხაზურ საზოგადოებებს შორის დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება კულტურული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, აფხაზური ენის პოპულარიზაციის მხარდაჭერა, ქართულ-აფხაზური საერთო ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაცია, კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობა.
მინისტრის აპარატის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ხმის ჩამწერი კომპანიის „ბრავო რეკორდსი“ ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის I-II კვარტალში ქ.თბილისში.
გახარჯული თანხა - 20 000 ლარი

აფხაზური ენის პოპულარიზაცია - პროექტის ფარგლებში პირველ ეტაპზე შემუშავდა აფხაზური 64-ასოიანი ანბანის ორი სტილის უნიკალური დიზაინი (დიდი და პატარა ასოებისთვის), რომლის საფუძველზე შემდეგ შეიქმნა აფხაზურის დამწერლობის კომპიუტერული შრიფტი, რომელიც იმუშავებს კომპიუტერულ პროგრამებში (word-ში, exel-ში, powerpoint-ში, photoshop-ში და სხვ).
პროექტის მეორე ეტაპზე, ამ შრიფტის გამოყენებით დამზადდა მაისურები (50 ცალი) და ნაჭრის ჩანთები (42 ცალი) წარწერებით აფხაზურ ენაზე, ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „სამყარო“, „მზე“, „მშვიდობა“, „მეგობრობა“ და სხვა. აღნიშნული მაისურები (20 ცალი) და ჩანთები (20 ცალი) გადაეცათ სოფელ ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. დარჩენილი მაისურებისა და ჩანთების საზოგადოებაში გავრცელება იგეგმება სამომავლო ღონისძიებებზე.
პროექტის მიზანია ქართულ-აფხაზურ საზოგადოებაში დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება, აფხაზური ენის პოპულარიზაცია, ქართულ-აფხაზური საერთო ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერება სამშვიდობო პროცესებში.
მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის მარტი - ივნისში.
გახარჯული თანხა - 6 500 ლარი

ვეტერანი ქალები და სამშვიდობო პოლიტიკა - ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ქალბატონებთან (20 აფხაზეთიდან დევნილი მონაწილე), რომლებიც 1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს ფრონტის წინა ხაზზე, უმძიმეს პირობებში ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მათ გაიხსენეს აფხაზეთის ომის რეალური ისტორიები და ეპიზოდები. ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სარვამარტო მისალოცი სიმბოლური ჩუქრები აფხაზეთის თემატიკით.
ღონისძიების მიზანია შერიგების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში სამოქალაქო სექტორის როლის გააქტიურება, სოციალური და საინფორმაციო მხარდაჭერა კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის, აფხაზეთიდან დევნილი ვეტერანი ქალბატონების წახალისება და აქტიურად ჩართვა კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესებში.

ღონისძიება განხორციელდა მიმდინარე წლის 6 მარტს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის ცენტრალურ დარბაზში.
გახარჯული თანხა - 3 300,50 ლარი

ტექნოლოგიური კვირეული - პროექტის ფარგლებში გაიმართა შემეცნებითი აქტივობები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ტექნოლოგიური პროფესიები/მიმართულებები და მათი პრიორიტეტები, ტექნოლოგიური სტარტაპები, ციფრული მედია და თანამედროვე ტექნოლოგიები + ინფორმაციის გაფილტვრა („fact checking“ და დეზინფორმაციის ამოცნობა), მედია მარკეტინგი (იუთუბი და ინსტაგრამი) და ხელოვნური ინტელექტი. პროექტში მონაწილეობა მიიღო კონკურსის წესით შერჩეულმა 14-17 წლის ასაკის აფხაზეთიდან დევნილმა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 39 ახალგაზრდამ (მათ შორის 6 მონაწილე ამჟამად აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდა). ტრენინგების განმავლობაში შეძენილი ცოდნის საფუძველზე ბენეფიციარებმა მოამზადეს 5 სარეკლამო ვიდეო რგოლი და კვირეულის აქტივობების ამსახველი 4K რეზოლუციის ვიდეო რგოლი. პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიური პროფესიების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ციფრული მარკეტინგის, ციფრული მედიის, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა მიმართულებით შესაბამისი ტექნიკური უნარების შეძენა.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19-25 ივნისს დაბა ბაკურიანში.
გახარჯული თანხა - 36 153 ლარი

სუფთა გარემო-ჯანსაღი ცხოვრება - პროექტის ფარგლებში მოეწყო გამწვანებისა და დასუფთავების აქცია, მინი ფეხბურთის ტურნირი და ლაშქრობა აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები (ამჟამად თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები) 120 ახალგაზრდის ჩართულობით.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის გაზრდა, მათი განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა არაფორმალური, შემეცნებით- საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით; ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარების მხარდაჭერა, როგორიცაა, გუნდურობა, ლიდერობა, კრეატიული აზროვნება, მენეჯერული უნარები; ახალგაზრდებში სკაუტინგის, გუნდური მშენებლობის, ბუნებასთან ერთად თანაცხოვრების პოპულარიზაცია, სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა; სახალისო სპორტული შეჯიბრებებისა და ეკოაქციების ორგანიზებით ახალგაზრდების ფიზიკური განათლებისა და აქტივობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების გარემოს დაცვის აქტივობებში ჩართვა და შესაბამისი უნარ-ჩვევების დამკვიდრება და განვითარება.
მინისტრის აპარატისა და სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“-ს ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 12 აპრილიდან 28 ივლისის ჩათვლით, სხვადასხვა ლოკაციაზე (ვაზიანი, წყნეთი, ძამას ხეობა).
გახარჯული თანხა - 1000 ლარი (მე -3 ეტაპი)

აფხაზეთიდან დევნილ იუსტიციის მუშაკთა როლი და პასუხისმგებლობა აფხაზეთის ომის პერიოდში და შემდგომ - იუსტიციის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით, ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილ იუსტიციის მუშაკებთან, რომლებმაც თავიანთი პროფესიული მოღვაწეობა დაიწყეს ჯერ კიდევ აფხაზეთში და 1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ თუ მოქალაქეობრივ მოვალეობას. ღონისძიებაზე მოწვეულ საპატიო

სტუმრებს გადაეცათ სახელობითი თემატური საჩუქრები, ხოლო მინისტრის აპარატის თანამშრომლებს სიმბოლური საჩუქრები და მადლობის სიგელები. ღონისძიების მიზანია ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილი იუსტიციის მუშაკთა მხარდაჭერა და წახალისება, მათ შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
ღონისძიება განხორციელდა მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს ქ. თბილისში.
გახარჯული თანხა -7 555,50 ლარი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი ელექტრონული პორტალი“ - პროექტის ფარგლებში შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა, სადაც აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ მათზე ორიენტირებულ სერვისებსა და პროგრამებს უწყებების მიხედვით. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდება გზამკვლევი, რომელშიც მოცემული იქნება დეტალური ინფორმაცია პორტალის გამოყენების შესახებ, რათა იგი მაქსიმალურად გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლისთვის.
პროექტის მიზანია პორტალის მომხმარებელთა ინფორმირებულობის ამაღლება, სერვისებზე მარტივი წვდომა და ხარისხიანი მომსახურების მიღება, დოკუმენტაციის დამუშავების გამარტივება, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება, სოციალური და საინფორმაციო მხარდაჭერა კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის, დევნილთა ინტეგრაციისა და სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება.
გახარჯული თანხა - 22 694.53 ლარი

ქვეპროგრამა ,,სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 19 02 11)

თანამედროვე ტექნოლოგიური პროფესიების შესწავლა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის - ონლაინ სასწავლო კურსი გაიარა აფხაზეთიდან დევნილმა 10 მონაწილემ თბილისიდან (7 მონაწილე) და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან (ზუგდიდი, ფოთი, წალკა, მესტია). პროექტი მოიცავდა სწავლებას შემდეგი მიმართულებებით: პროგრამირება 0-დან (ხანგრძლივობა 3.5 თვე), ფრონტენდ დეველოპმენტი: React I (ხანგრძლივობა 3.5 თვე), ბექენდ დეველოპმენტი: Python I (ხანგრძლივობა 4.5 თვე). პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები და ერთი მონაწილე დასაქმდა სქილვილის მიერ.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წევრებისათვის დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა, თანამედროვე ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმების ხელშეწყობა, სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაცია.
მინისტრის აპარატისა და ონლაინ აკადემია ,,სქილვილი“ -ს ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 22 იანვარიდან მაისის ჩათვლით.
გახარჯული თანხა - 4 750 ლარი

თანამედროვე ტექნოლოგიური პროფესიების შესწავლა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის - პროექტში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე 30 მონაწილემ თბილისიდან, მესტიიდან, გალიდან, ზუგდიდიდან. სწავლება მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებებით: პროგრამირება 0-დან (ხანგრძლივობა 7 თვე), ფრონტ ენდ დეველოპმენტი/react (ხანგრძლივობა 7 თვე), ბექ ენდ დეველოპმენტი/Python (ხანგრძლივობა 7 თვე), ბექ ენდ დეველოპმენტი/Java (ხანგრძლივობა 7 თვე), IT პროექტების მართვა და ანალიზი (ხანგრძლივობა 7 თვე), კიბერუსაფრთხოება (ხანგრძლივობა 7 თვე), ციფრული რეკლამა (ხანგრძლივობა 3 თვე). პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წევრებისათვის დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა, თანამედროვე ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმების ხელშეწყობა, სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაცია.
მინისტრის აპარატისა და ონლაინ აკადემია "სქილვილი"-ს ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილი - დეკემბერში.
გახარჯული თანხა - 14 970 ლარი

ახალგაზრდების როლის გააქტიურება ევროინტეგრაციისა და სამშვიდობო პროცესებში - პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ და ამჟამად საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ, I-IV კურსის სტუდენტებთან (20 სტუდენტი) და ოფიციალურ პირებთან (აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ევროკავშირის დახმარებისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი). ბენეფიციარებს მიეწოდათ ინფორმაცია ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებით და პროგრამის „ევროკავშირის ფუნქციონირების ფუნდამენტური სამართლებრივი და ინსტიტუციური ასპექტები" შესახებ. პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ ორენოვანი (ქართული და ინგლისური) წიგნი „შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად"(აღნიშნული წიგნი გამოიცა 2022 წელს, პროექტის „ევროკავშირის ინსტიტუციონალური მოწყობა; ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი და ევროკავშირის ინსტიტუტების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში" ფარგლებში).
პროექტის მიზანი იყო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის ფუნდამენტურ სამართლებრივ და ინსტიტუციურ საკითხებზე და ზოგადად, ევროპული ფასეულობებისა და სამშვიდობო ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ; ასევე, ახალგაზრდების უფრო მეტად ინფორმირებულობა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობებისა და ეტაპების შესახებ.
მინისტრის აპარატისა და სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის რეგიონულ წარმომადგენლობის (EPLO) ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 მარტს ქ. თბილისში.
გახარჯული თანხა - 3333,60 ლარი

თემატური გზავნილები ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე - პროექტის ფარგლებში ჩატარდა სემინარები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები 15-18 წლის 10 ახალგაზრდისათვის (ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები). მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხები, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების უპირატესობი და შესაძლებლობი, ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა, ქართული კულტურისა და იდენტობის ევროპული ოჯახისადმი კუთვნილება.
პროექტის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე, ანტიდასავლური პროპაგანდის, მითებისა და სტერეოტიპების დაძლევა და ევროპული სამშვიდობო და უსაფრთხოების პოლიტიკის გამოცდილების გაზიარების მხარდაჭერა.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 29-31 მარტს საირმეში.

გახარჯული თანხა - 6000 ლარი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღთან დაკავშირებით, ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შემეცნებით-სახალისო აქტივობები (მეცნიერული კულინარია და აზოტის შოუ), სადაც მონაწილეობა მიიღო 10-13 წლის ასაკის აფხაზეთიდან დევნილმა 30 ბავშვმა (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახებიდან). ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრები (30 ცალი მოსწავლის პირველი ენციკლოპედია).
ღონისძიების მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის გაზრდა, მათი განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა არაფორმალურ, შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის მეშვეობით და გუნდურობის უნარების გაძლიერება.
ღონისძიება განხორციელდა მიმდინარე წლის 30 მაისს ქ. თბილისში, ინტერაქტიულ და სამეცნიერო მუზეუმში „ექსპერიმენტორიუმი“.
გახარჯული თანხა - 1 911 ლარი

ქ. ფოთში დევნილი ახალგაზრდების ცურვის კურსები - პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში სოციალიზაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და მისი პოპულარიზაცია.
პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ფოთში მცხოვრებმა 6-15 წლის აფხაზეთიდან დევნილმა 50 ბავშვმა და მოზარდმა, რიც შედეგადაც ბენეფიციარები უფრო დაახლოვდნენ, მათში დამკვიდრდა ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაიზარდა მათი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის მაისი - ივნისში ქ. ფოთში.
გახარჯული თანხა - 3000 ლარი

სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება – მინისტრის აპარატისა და სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“-ს ერთობლივი პროექტი.
პროექტის ფარგლებში მოეწყო გამწვანებისა და დასუფთავების აქცია, მინი ფეხბურთის ტურნირი და ლაშქრობა აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები (ამჟამად თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები) 120 ახალგაზრდის ჩართულობით.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის გაზრდა, მათი განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა არაფორმალური, შემეცნებით- საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით; ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარების მხარდაჭერა, როგორიცაა, გუნდურობა, ლიდერობა, კრეატიული აზროვნება, მენეჯერული უნარები; ახალგაზრდებში სკაუტინგის, გუნდური მშენებლობის, ბუნებასთან ერთად თანაცხოვრების პოპულარიზაცია, სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა; სახალისო სპორტული შეჯიბრებებისა და ეკოაქციების ორგანიზებით ახალგაზრდების ფიზიკური განათლებისა და აქტივობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების გარემოს დაცვის აქტივობებში ჩართვა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილი - ივლისში სხვადასხვა ლოკაციაზე (ვაზიანი, წყნეთი, ძამას ხეობა).
გახარჯული თანხა - 500 ლარი

აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო კურსი ქ. თბილისში მდებარე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებული საკვირაო სკოლის 6-15 წლის ასაკის 30 ბენეფიციართათვის (18 მოსწავლე არის აფხაზეთიდან დევნილი), რომლებმაც შეისწავლეს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება (კერამიკა/მოხატვა, კალიგრაფია, ხატვა, ქსოვა, ქარგვა და სხვ.). 2024 წლის 8 ივლისს გაიმართა მონაწილეების მიერ შექმნილი სხვადასხვა ნამუშევრების პრეზენტაცია და შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის გაზრდა, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა არაფორმალური, შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით თბილისში, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებულ საკვირაო სკოლაში.
გახარჯული თანხა - 5077,92 ლარი

დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე - პროექტის ფარგლებში 7-16 წლის ასაკის 70 ბენეფიციარისათვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგი თემატიკით: მულტიკულტურალიზმი, ბულინგი და მისი პრევენცია, გუნდურობა, პროფორიენტაცია, სოციალური მედია-მარკეტინგი, გენდერული თანასწორობა, ბავშვთა უფლებები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეფექტური კომუნიკაცია, მოხალისეობა, პრეზენტაციები, პროექტების წერა და ფინანსების მოძიება, მეწარმეობის განვითარება, პროპაგანდა (სახეები, როლი, მნიშვნელობა), სლოგანი და სპიჩი, დეზინფორმაცია და მისი სახეები, სპიკეროფობია, საჯაროდ საუბრის შიში (სპიკერობის შიში). ასევე, ერთჯერადად განხორციელდა ექსკურსია იმერეთის რეგიონში. პროექტის ბოლოს ბენეფიციარებს გადაეცათ პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.
პროექტის მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მედია-პროდუქტების მომზადების შესახებ, გუნდური მუშაობის უნარების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ივნისი - ივლისში (შაბათ-კვირას), ქ. სენაკში.
გახარჯული თანხა - 29 777 ლარი

აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები ქალებისა და გოგონების ინფორმირება შრომით უფლებებსა და შრომით ურთიერთობებზე - პროექტის ფარგლებში, 18-35 წლამდე ასაკის 35 ბენეფიციარ ქალბატონს (რომელთაგან 30 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე პირია, ხოლო 5 აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირი) მიეწოდათ ინფორმაცია შრომის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად მიღებულ შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებსა და საკანონმდებლო რეგულაციებზე, შრომით დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმებზე, ოჯახური და სამსახურეობრივი მოვალეობების ურთიერთშეთავსების ხელშემწყობი გარანტიების საერთაშორისო პრაქტიკაზე, ასევე, პიროვნულ განვითარებაზე, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენაზე, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე და ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. ბენეფიციარებს ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში არსებულ დასაქმების ინტერნეტ-პორტალებზე (jobs.ge, hr.gov.ge, LinkedIn) და, ასევე, შესაბამისი მიზნით შექმნილ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე. პროექტის

ფარგლებში გამოიცა საინფორმაციო ფლაერი „იცოდე შენი უფლებები“, რომელიც გავრცელდა ქ. ზუგდიდში მდებარე დევნილთა ჩასახლებებში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების (შამგონა, კოკი, ხურჩა, ორსანტია, ახალაბასთუმანი და სხვა) ადმინისტრაციულ ცენტრებში.

პროექტის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი ქალი ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება შრომითი უფლებების დაცვის შესახებ, სამუშაოს მაძიებელი ქალი ბენეფიციარების შესაძლებლობების გაძლიერება, რომლითაც შეეძლებათ გაიუმჯობესონ აქტიური მოქალაქეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალი ბენეფიციარებისთვის სამართლებრივი საკითხების უზრუნველყოფისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა, პროექტის ქალი ბენეფიციარების კონკურენტუნარიანობის გაზრდა შრომით ბაზარზე.

მინისტრის აპარატისა და ასოციაცია ,,იმედი“ - დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის“ ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11-14 ივნისს ქ. ზუგდიდში.

გახარჯული თანხა - 5 650 ლარი

აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ევროსოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე 7-12 წლის ასაკის 13 მოზარდი და ახალგაზრდა გაემგზავრა ესპანეთში. გასამგზავრებლად აუცილებელი მონაწილეთა ყველა საჭირო დოკუმენტი მომზადდა მინისტრის აპარატის მიერ (ბენეფიციართა სრული დოკუმენტაციის განხილვა, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, აპოსტილით დამოწმების, თარგმნისა და თარგმანის დამოწმების ორგანიზება). ესპანეთში ყოფნის პერიოდში ბავშვების ყველა ხარჯი (მგზავრობა, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, კვება, სამედიცინო დახმარება და სხვა) დაფარა ესპანურმა მხარემ. ბენეფიციარებმა 2 თვიანი არდადეგები გაატარეს ესპანეთში მცხოვრებ მოხალისე ოჯახებში, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების სამოქალაქო ინტეგრაციას, მათთვის უცხო ქვეყანაში და გარემოში სრულფასოვან ადაპტაციას, ცხოვრების თანასწორუფლებიანი და ღირსეული პირობების შექმნას.

პროექტის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილის სტატუსის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების ევრო სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ცხოვრების თანასწორუფლებიანი და ღირსეული პირობების შექმნა, ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების შესახებ, ევროპული განათლების მიღების პერსპექტივის ხელშეწყობა.

მინისტრის აპარატის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ასოციაციასთან „ყველანი ბავშვები ვართ“ ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ივნისი - აგვისტოში ესპანეთში.

გახარჯული თანხა - 396 ლარი

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ევროსოციალიზაციისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა - პროექტის ფარგლებში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი 9-15 წლის ასაკის 10 ბავშვი გაემგზავრა ესპანეთში მცხოვრებ მოხალისე ოჯახებში, 2 თვით არდადეგების გასატარებლად. მინისტრის აპარატმა უზრუნველყო ბენეფიციართა ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და საორგანიზაციო საკითხები (ბენეფიციართა სრული დოკუმენტაციის

განხილვა, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, აპოსტილით დამოწმების, თარგმნისა და თარგმანის დამოწმების ორგანიზება). პროექტის მიზანია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების სამოქალაქო ინტეგრაცია, მათთვის უცხო ქვეყანაში და გარემოში სრულფასოვანი ადაპტაცია, ესპანური კულტურისა და ხელოვნების გაცნობით, დემოკრატიული ღირებულებების პირისპირ შეხებით, ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული ფასეულობებისა და ევროინტეგრაციის შესახებ, სამომავლოდ ევროპული განათლების მიღების გაზრდილი პერსპექტივა. ყოველივე ეს შესძენს მათ თავდაჯერებულობას, რაც გააძლიერებს ახალგაზრდების ჩართულობას სამშვიდობო პროცესებში.
მინისტრის აპარატის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდის ,,Finsol" ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ესპანეთში.
ესპანეთში ყოფნის პერიოდში ბავშვების ყველა ხარჯი (მგზავრობა, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, კვება, სამედიცინო დახმარება და სხვა) დაფარა ესპანურმა მხარემ.

პროექტის **„აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ევროსოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა"** და პროექტის **„აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ევროსოციალიზაციისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა"** ბენეფიციარებისთვის ესპანეთში გამგზავრებამდე, მიმდინარე წლის 28 ივნისსა და 1 ივლისს გაიმართა ბავშვების ერთ სივრცეში, კერძოდ, ბავშვთა გასართობ ცენტრში „მეჯიქ სითი" შეხვედრა და სხვადასხვა გასართობი აქტივობები. ღონისძიების მიზანია ბენეფიციართა ერთმანეთთან დაახლოება, ინტეგრაცია, სოციალიზაცია და კოორდინატორის გაცნობა. მოეწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობები, რამაც ხელი შეუწყო ერთმანეთთან დაახლოებას და გაცნობას, რაც თავისთავად გაუადვილებს მათ უცხო ქვეყანაში და გარემოში ადაპტაციას. ესპანეთში გამგზავრებამდე პროექტების მონაწილეებს, ასევე, გადაეცათ მაისურები და ქართულ-ესპანური სასაუბროები.
გახარჯული თანხა -8 061,88 ლარი.

სპეციფიკური საჭიროებების მქონე დევნილი ბავშვებისა და მათი მშობლების ინტეგრაცია - პროექტის ფარგლებში 15 ბავშვისთვის (1-6 წლის ასაკის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 10 ბავშვის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი 5 ბავშვისთვის) და მათი მშობლებისთვის გაიმართა 10 დღიანი სხვადასხვა შემეცნებითი და ინტეგრაციული აქტივობები დაბა ურეკში.
პროექტის მიზანია სპეციფიკური საჭიროებების მქონე დევნილი ბავშვების მშობლების სამოქალაქო ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, სოციალური მხარდაჭერა კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის, პროექტის მონაწილეების განვითარების ხელშეწყობა მათი სხვადასხვა შემეცნებით და ინტეგრაციულ აქტივობებში ჩართულობის მეშვეობით.
მინისტრის აპარატის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ასოციაცია „იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 4-13 სექტემბერს, დაბა ურეკში.
გახარჯული თანხა - 3 050 ლარი

მხარდაჭერის მიმღები აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგები

(არტთერაპია, მუსიკოთერაპია, ინკლუზიური ცეკვა, ხატვატერაპია, ფსიქოლოგიური სესიები მშობლებისათვის), 8-15 წლის ასაკის 20 ბენეფიციარისა და მათი მშობლებისათვის. პროექტის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა მათი სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობის მეშვეობით.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 4 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით, დაბა ბაკურიანში.
გახარჯული თანხა - 42 889 ლარი

დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე - პროექტის ფარგლებში ორი თვის განმავლობაში ყოველ შაბათ-კვირას ქ. წყალტუბოში მცხოვრები 14-17 წლის აფხაზეთიდან დევნილი 50 ახალგაზრდისთვის ჩატარდა შემეცნებით-სახალისო აქტივობები, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემატიკებს: მულტიკულტურალიზმი, ბულინგი და მისი პრევენცია, გუნდურობა, პროფორიენტაცია, სოციალური მედია-მარკეტინგი, გენდერული თანასწორობა, ბავშვთა უფლებები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეფექტური კომუნიკაცია, მოხალისეობა, პრეზენტაციები, პროექტების წერა და ფინანსების მოძიება, მეწარმეობის განვითარება, პროპაგანდა (სახეები, როლი, მნიშვნელობა), სლოგანი და სპიჩი, დეზინფორმაცია და მისი სახეები, სპიკეროფობია, საჯაროდ საუბრის შიში (სპიკერობის შიში).
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მედია-პროდუქტების მომზადების შესახებ, გუნდური მუშაობის უნარების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ნოემბერი - დეკემბერში, ქ.წყალტუბოში.
პროექტის ფარგლებში ერთჯერადად განხორციელდა ექსკურსია სამეგრელოს რეგიონში.
პროექტის ბოლოს ბენეფიციარებს გადაეცათ პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.
გახარჯული თანხა - 33 893 ლარი

ქვეპროგრამა „დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 19 02 12)

შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან - პროექტის ფარგლებში გაიმართა მინისტრის აპარატის წარმომადგენლების შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან), აკადემიური წრეების და ასევე საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, აფხაზეთიდან დევნილ ემიგრანტებთან, ჰოლანდიაში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლის „სიხარული“ და ამ სკოლასთან არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის „საქართველო“ წევრებთან. ბენეფიციარებს გადაეცათ საჭირო საგანმანათლებლო ნივთები. ასევე, დევნილი ემიგრანტებისა და უცხოელი პარტნიორებისთვის ნიდერლანდების სამეფოში მოეწყო გიორგი აფხაზის ნამუშევრებისა და 2023 წლის დეკემბერში მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული პროექტის „აფხაზეთის არქივი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მემატიანე“ ფარგლებში წარმოდგენილი მასალის გამოფენა.

პროექტის მიზანია საზღვარგარეთ აფხაზეთის თემატიკის პოპულარიზაცია და უცხოეთში მოღვაწე აფხაზთა შესახებ ცნობადობის გაზრდა, აფხაზეთიდან დევნილი ემიგრანტების მხარდაჭერა და მათი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი ჩართულობის

გაზრდა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და აფხაზეთის არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა, ქართული დიასპორების, როგორც სამშვიდობო რესურსის გააქტიურების ხელშეწყობა და ქართულ-აფხაზური კულტურული ღონისძიების ორგანიზება.
საერთაშორისო პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 14-17 მარტს, ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ ამსტერდამში, ქალაქ ჰააგასა და ქალაქ ამერსფორტში.
გახარჯული თანხა - 13 706,30 ლარი

უცხოეთში მცხოვრები აფხაზი საზოგადო მოღვაწეები (მე-2 ნაწილი) – პროექტის ფარგლებში მოეწყო ვიზიტები სხვადასხვა არქივებთან, მუზეუმებთან და ბიბლიოთეკებთან, შეგროვდა შესაბამისი მასალები ფილმისთვის ,,ცნობილი აფხაზების უცნობი სახეები“.
პროექტის მიზანია ევროპაში მოღვაწე აფხაზების (ჩხოტუების, შარვაშიძეების, და სხვათა) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალების შეგროვება და ამ უნიკალური დოკუმენტაციით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის გამდიდრება, გასულ საუკუნეებში ევროპაში ემიგრაციაში წასული აფხაზი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა და ნამუშევრების მოძიება და მათი გაცნობა უცხოეთში მცხოვრები ქართული დიასპორებისთვის და ქართულ-აფხაზური საზოგადოებისთვის, ქართულ-აფხაზური თემატიკის პოპულარიზაცია შვეიცარიაში, საფრანგეთსა და მონაკოში და ამ ქვეყნებში ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის სფეროში აქტიური თანამშრომლობა; ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ გაყალბებულ ისტორიასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლა შესაბამისი მასალების მოპოვებით.
მინისტრის აპარატის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საზოგადოებრივი მაუწყებელის ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ივლისში, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და მონაკოში.
გახარჯული თანხა - 7 475 ლარი

საბერძნეთის ქ. სალონიკში არსებული ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლის მხარდაჭერა აფხაზური ცეკვის ფორმებით - პროექტის ფარგლებში ქ. სალონიკში მოქმედ საკვირაო სკოლასთან არსებულ, ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლის „ლომისი“-ს წევრებისთვის დამზადდა აფხაზური საცეკვაო ფორმები (14 კოსტიუმი) და მოხდება მათი გადაცემა. რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ანსამბლის მონაწილეების უფრო აქტიურ ჩართვას სხვადასხვა კონცერტებსა თუ ფესტივალებში და ასევე ქართულ-აფხაზური საერთო კულტურის პოპულარიზაციას. ანსამბლს ამ ეტაპზე ჰყავს 20 მოსწავლე, რომელთა შორის არიან, ასევე, აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები.
პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ემიგრანტების მხარდაჭერა საგანმანათლებლო, კულტურული თუ სხვა მიმართულებით, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება, ქართული დიასპორების როგორც სამშვიდობო რესურსის გააქტიურების ხელშეწყობა, ქართულ-აფხაზური საერთო ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლების მხარდაჭერა, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე.
პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის ივნისში (შეიკერა ფორმები), ქ.თბილისში.
გახარჯული თანხა - 5 000 ლარი

შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან - პროექტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-თან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაჰიის დულმუფინარის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტამბოლის ბეიქენთის კერძო უნივერსიტეტის, ეროვნული თავდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტამბოლის ნიშანთაშის კერძო უნივერსიტეტის პროფესორებთან, ქართულ დიასპორასთან და აფხაზეთიდან დევნილ ემიგრანტებთან, ქ. სტამბოლში მოქმედი ედირნექაფის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ სამრევლოსთან არსებული საკვირაო სკოლის წარმომადგენლებთან.

საზღვარგარეთ აფხაზეთის თემატიკის პოპულარიზაციისა და უცხოეთში მოღვაწე აფხაზთა შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, დიასპორებთან შეხვედრის დროს, მოეწყო გიორგი აფხაზის ნამუშევრებისა და პროექტის „აფხაზეთის არქივი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მემატიანე“ ფარგლებში მომზადებული მასალის გამოფენა. პროექტის მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილი ემიგრანტების მხარდაჭერა და მათი პრობლემების იდენტიფიკაცია, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა, ქართული დიასპორების, როგორც სამშვიდობო რესურსის გააქტიურების, ხელშეწყობა, მათი ჩართულობის გაზრდა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და აფხაზეთის არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა, საზღვარგარეთ აფხაზური თემატიკის პოპულარიზაცია და უცხოეთში მოღვაწე აფხაზთა შესახებ ცნობადობის გაზრდა, შეხვედრების მონაწილეთათვის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საერთაშორისო პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 3-4 ივლისს, ქ. სტამბოლში.

გახარჯული თანხა - 8 936,18 ლარი

პროექტი ,,საზღვრებს მიღმა“- პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი თემაზე ,,თვითშემეცნება და მომავლის გზა“, ლექცია თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მიერ კულტურის საკითხებზე, ქართული კალიგრაფიის მასტერკლასი. მონაწილეობა მიიღო 60 ახალგაზრდამ საქართველოდან და საზღვარგარეთიდან (მათ შორის აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი, საინგილოდან, ასევე ემიგრაციაში მცხოვრები ახალგაზრდები და სიღნაღის ბავშვთა სახლის ბენეფიციარები).

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი და ემიგრაციაში მცხოვრები ახალგაზრდების მხარდაჭერა, მათი ერთმანეთთან ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებზე, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება.

მინისტრის აპარატისა და ფონდის ,,დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ ერთობლივი პროექტი განხორციელდა მიმდინარე წლის 25 ივლისს ქ. თბილისში.

გახარჯული თანხა - 532 ლარი

შეხვედრა დევნილ ემიგრანტებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ესტონეთისა და ფინეთის რესპუბლიკებში - გაუქმებული ვიზიტი (მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა, საკადრო ცვლილებება). პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო შეხვედრები: ესტონეთისა და ფინეთის რესპუბლიკების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ესტონეთის ეროვნული არქივის წარმომადგენლებთან და ქართველ ემიგრანტებთან (მათ შორის აფხაზეთიდან დევნილ ემიგრანტებთან). ასევე, გათვალისწინებული იყო პანელური დისკუსიები ესტონეთის ოკუპაციის მუზეუმში.

გახარჯული თანხა - 5 118.52 ლარი.